პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 სექტემბერი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 225 (14829)

XXIV შენთვის, ჩემო საბჭოთა!

„ლუნა-16“ დედამიწაზე

ზეგეგმითი დიპლომიტი

ახალციხე. (საკ. კორ.). აჭარ-დიპლომიტის მაღაროთა სამმართველოს სამთოელებმა 8 თვეში ამოიღეს და ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებს მიაწოდეს 20.792 ტონა დიპლომიტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19.205 ტონისა. გადაჭარბებით გაანაღდეს აჭარის მოპოვების დავალებაც. გეგმის გადამეტებით მოახდინეს 56 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 3,6 პროცენტით და მარტო ხელფასის ფონდიდან დაზოგეს 10 ათას მანეთზე მეტი.

შრომითს ვახტზე განსაკუთრებით დაწინაურდნენ აჭარის კარიერების შურდის უბნისა და დიპლომიტის შახტის კოლექტივები, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები ოთარ კობახიძე და ნოდარ რაზმაძე ხელმძღვანელობენ.

დაიწყეს ახალი ხუთწლედი

ჭუთაისი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის № 5 სამმართველოს კოლექტივმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს 26 ქალაქსა და რაიონს ემსახურება, ვადაზე ოთხი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლედის დავალება. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ 5 მილიონ 603 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 41 ათასი მანეთით აღემატება ხუთწლიან გეგმას.

მშენებელ-მემონტაჟეებმა და მექანიზატორებმა სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებით ასეულ ათასობით მანეთი დაზოგეს და ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 301 ათასი მანეთის ნაცვლად 347 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღეს.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის დამკვრელური შრომის მაგალითები უჩვენეს მექანიკოკავატორეებმა ნ. ნიკოლაძემ, ნ. აფხაიძემ, გ. ველიჩკომ, რ. ჯაფლემა, მებეტონიერეებმა ვ. გურგენიძემ, ა. ბასიოლაძემ, მეამწეებმა ა. კილაძემ, დ. ცანავამ, ი. ჩბტაიშვილმა, მემონტაჟეებმა დ. ჭეიშვილმა, პ. კუჭავამ.

სამმართველოს კოლექტივმა ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრა პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დირსეულად შეხვედრისათვის.

ფლიუარი გეგმა შეასრულეს

რუსთავი. (საკ. კორ.). ერთ-ერთმა მსხვილმა სამშენებლო ორგანიზაციამ „ქიმმრეწვმშენმა“ (უფროსი საბჭოთა კავშირის გმირი კ. უკლება) წლიური გეგმა 10 სექტემბრისათვის შეასრულა. შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 101 პროცენტით, მშენებლობის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 140 ათასი მანეთი ეკონომია.



მანექის გამოფენის წარმატება

ერთ თვეზე მეტია მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში (მანეჟში) გახსნილია თვითმოქმედი მხატვრებისა და ხალხური შემოქმედების ოსტატების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა სრულიად საკავშირო გამოფენა-კონკურსი. მანეჟში, რომელიც ხალხის უზარმაზარ სახელოსნოდ გადაიქცა, წარმოდგენილია 3,5 ათასი ავტორის — მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების 6 ათასამდე ნამუშევარი. აქ ნახავთ ქანდაკებას, დეკორატიულ მოხატულობას, კერამიკისა და ხის ნაკეთობებს, ქარვის სამკაულებს, ვერცხლისა და ბრონის ყვავილებს.

„ყველა ყვავილი — სამშობლოს“, — ასეთი დევიზით მუშაობდნენ ხალხური ხელმარჯვე ოსტატები, რომლებმაც დედაქალაქში გამოგზავნეს თავიანთი ნახელავი. დიდი წარმატება ხვდა ამ-გამოფენას, რომელიც მოაწყეს საკავშირო პროფსაბჭომ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა. მის ექსპოზიციას გაეცნო 300 ათასი მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი. აქ მოეწყო ბევრი საინტერესო ექსკურსია და შემოქმედებითი განხილვა. დამთვალიერებლებმა შთაბეჭდილებათა წიგნში ასობით ჩანაწერი დატოვეს.

„დიდებულია, შესანიშნავია! რამდენი ჩანაფიქრი და ფანტაზიაა, რა ბევრია ჩვენს სალხში ხელმარჯვე ოსტატი“ — ჩაწერეს მანეჟის ნახვის შემდეგ ქარხანა „კალიბრის“ მუშებმა.

24 სექტემბერს გამოფენა დათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ბ. ნ. პონომარიოვმა და მ. ს. სოლომენცევმა. (საკ.).

საერთაშორისო გამოფენა „ქიმია-70“

მოსკოვის სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში ორ კვირას მუშაობდა საერთაშორისო გამოფენა „ქიმია-70“. გამოფენაში მონაწილეობდნენ თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყანა, ევროპის, აზიის, ამერიკის ქვეყნების უდიდესი საწარმოები და ფირმები. ამ წარმომადგენლობითს დათვალიერებაზე უჩვენებდნენ საუკეთესოს, რაც კი აქვს თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკას ქიმიის დარგში.

საბჭოთა განყოფილება ყველაზე დიდი იყო დათვალიერებაზე. მის სამ პავილიონსა და ღია მოედნებზე განლაგებული იყო 10 ათასი ექსპონატი, რომლებიც დამაჯერებლად მოგვითხრობდნენ საბჭოთა ქვეყნის ქიმიური ინდუსტრიის მაღალ დონეზე, იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ქიმია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაზე.

გამოფენას დიდი წარმატება ჰქონდა მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმართა შორის. გამოფენის მუშაობის მანძილზე ექსპოზიცია დათვალიერა მილიონამდე კაცმა.

24 სექტემბერს, გამოფენის დახურვის დღეს, მას ეწვივნენ ამხანაგები დ. ს. პოლიანსკი, ვ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი და სხვები. (საკ.).

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ტაშკენტი, 25 სექტემბერი. (საკ. ინ.). დღეს აქ მუშაობა დაიწყო უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ. განხილეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის საკითხი; მიღებულია გადაწყვეტილება ამ თანამდებობიდან გათავისუფლონ ი. ს. ნასრიდინოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ მის არჩევასთან დაკავშირებით.

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ბნაზარ მატკარიმის-ძე მატჩანოვი, რომელიც დღემდე უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო.

დეპუტატები განხილავენ აგრეთვე რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, უზბეკეთის სსრ მიწის კოდექსის პროექტის საკითხებს.

ზეგეგმითი კურსებიდან

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურისტულ ბაზაზე ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩატარდა ალპინისტური ტექნიკის ორი ზეგეგმითი კურსი. ალპინისტ-ინსტრუქტორ ბ. ბ. ბ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა „შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის" მშვილებლის ნების წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 125[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 125[1]. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნების წინააღმდეგ —

— ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათი მანეთიდან ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე".

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წინასწარი გამოძიება მიეკუთვნოს პროკურატურის ორგანოების კომპეტენციას და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილის ციფრ 125-ის შემდეგ დაემატოს ციფრი 125[1].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წ. 25 სექტემბერი.

ბავშვებზე ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინება

დღეს ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ". საქართველოს კომუნისტური პარტიის ცხოვრების საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაჭაძეს განმარტა საკანონმდებლო ორგანოს ამ ახალი აქტის მნიშვნელობა, გაიკეთო ამ კანონის საპრო

სახელოვანი ნახევარი საუკუნე

თბილისის საარტილერიო სასწავლებელი 50 წლისა

50 ЛЕТ TBAKKY

დღეს თბილისის 26 ბაკოელი კომისრის სახელობის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო წითელდროშოვანი სასწავლებლის პედაგოგები, კურსანტები, აღზრდილები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს ყველა მშრომელი დიდი სიხარულით და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სასწავლებლის ორმოცდაათ წლისთავს. ჭეშმარიტად დიდია ამ სასწავლებლის დამსახურება საბჭოთა შეიარაღებული ძალების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ბრძოლაში. საუკეთესო საბჭოთა ოფიცრებს აღზრდისათვის დიდ შემოქმედებითს შრომაში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ამ სასწავლებელში აღზრდილ 32 ოფიცერსა და ალენრალს საბჭოთა ჯავშირის გმირის საპატიო წოდება აქვს მინიჭებული. ბევრმა მათგანმა ისახელა თავი როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა, ჯარების წინამძღოლმა. მათ შორის ბევრი ქართველი ხალხის შვილია.

„კომუნისტის“ დღევანდელი სპეციალური ვერტიკალ ამ სასწავლებლის 50 წლისთავისადმია მიძღვნილი.

სამხედრო მეთაურთა სამჭედლო

სახელოვანი შე-11 არმიის ნაწილებთან ერთად კურსანტთა აღმოსავლეთის ბრიგადა და მისი მეექვსე პოლკი, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენი სახსწავლებლის ისტორიას, საქართველოს მშრომელთა მოწოდებით მონაწილეობდა მენშევიკურ-ბურჟუაზიული დიქტატურისა და უცხოეთის ინტერვენტებისაგან მოძმე საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კურსანტთა მეექვსე პოლკი განლაგდა ყოფილი სიიუნკრო სასწავლებლის შენობაში, სადაც ახლა საარტილერიო სასწავლებელია.

1921 წლის 2 მაისს სასწავლებელმა გამოუშვა წითელი მეთაურების პირველი ჯგუფი, ერთი წლის შემდეგ კი კურსანტებმა მონაწილეობა მიიღეს მენშევიკთა ბანდების ჩაშთების ლიკვიდაციაში ოზურგეთში (ახლა ქ. მახარაძე) და მენშევიკური ავანტიურის ჩახშობაში ხევსურეთში.

1924 წელს სასწავლებელი გარდაიქმნა თბილისის 21-ე ქვეითთა სკოლად 1927 წლის სექტემბერში — ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლად. ამ დღიდან გაერთიანებულ ქვეითთა სკოლაში უფრო ფართო მასშტაბით ჩაღდება სამხედრო კადრების მომზადება ერთგულ ნაწილებისათვის, რომლებიც კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ.

სამხედრო კადრების მომზადებაში ამიერკავკასიის სკოლის წარმატებანი დიდად დაფასეს პარტიამ და მთავრობამ. 1929 წელს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სკოლას სამეფო დროშა გადაეცა. ამასთანავე მიენიჭა 26 ბაკოელი კომისრის სახელი.

1938 წელს ამიერკავკასიის გაერთიანებული ქვეითთა სკოლა გარდაიქმნა თბილისის სამთო-საარტილერიო სახსწავლებლად. მას შემდეგ აქ საბჭოთა არმიისათვის ამზადებენ არტილერიის ოფიცერთა მაღალკვალიფიციურ კადრებს.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში სასწავლებლის ბევრმა აღზრდილმა გაითქვა სახელი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში. სამშობლომ ღირსეულად დააფასა მათი სახელოვანი საბრძოლო გმირობა. 32 ჩვენს კურსდამთავრებულს მიენიჭა ჯავშირის გმირის საპატიო წოდება. მათ შორის არიან საბჭოთა არმიის სატანკო ჯარების უფროსი ჯავშნისატანკო ჯარების მარშალი ა. ხ. ბაბაჯანიანი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. შატილოვი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ე. ალფაიძე, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნ. ჯანჯღავა, თადარიგის პოლკოვნიკი ა. ზ. პირმისაშვილი და ჩვენი სამშობლოს სხვა სახელოვანი შვილები. ბრძოლის ველზე მამაცთა სიკვდილით დალუპული ლეიტენანტი ს. ა. ოგანოვი სამუდამოდ შეტანილია სასწავლებლის პირველი ბატარეის სიაში.

სახელოვანი 25 წლისთავის დღეს, 1945 წლის აგვისტოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სასწავლებელი დაჯილდოვდეს წითელი დროშის ორდენით.

სასწავლებლის პირადი შემადგენლობა წმინდად იცავს გმირ ფრონტელთა ტრადიციებს. ამ ტრადიციებით იზრდება კურსანტთა ახალგაზრდა თაობა. სასწავლებლის ხელმძღვანელობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მათგან ამზადებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უსაზღვროდ ერთგულ ოფიცრებს, რომლებიც მზად არიან პირნათლად მოიხადონ სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა მხედრული ვალი.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის სასწავლებელი დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო დროშით.

ჩვენი სასწავლებლის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1969 წლის ივნისში, როცა მას დაერქვა თბილისის 26 ბაკოელი კომისრის სახელობის უმაღლესი საარტილერიო მეთაურთა წითელდროშოვანი სასწავლებელი.

სასწავლებლის ყველა ბრიგადა ჯავშანსატანკო ბრიგადა, ოთხი ბატარეა, ორი ბატალიონი, ოთხი ეროვნული ბატალიონი, ოთხი ეროვნული ბატალიონი, ოთხი ეროვნული

საქართველოს ამა-ხალვეთ

ქართული ბროლი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქართულ ბროლს ათი წელი შეუსრულდა. 1960 წლის სექტემბერში ქუთაისის მინის ტარის ქარხანაში ამუშავდა რესპუბლიკაში პირველი ბროლის საამქრო, რომლის პროდუქციამ თავიდანვე მომხმარებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქართული ბროლის ჭიქებს, სურებს, გრაფინებს, ვაზებს, ლარნაკებს, კომპოტის კომპლექტებს, სხვადასხვა სუვენირებს ახლა მშრომელთა ბევრ ოჯახში შეხვდებით. ბროლის საამქრომ, რომელსაც მისი შექმნის დღიდან გამოცდილი ინჟინერ-ტექნოლოგი ნინო შათირიშვილი უძღვება, 60-ზე მეტი სახის ბროლის ჭურჭლის წარმოება აითვისა. საამქროს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის დავალება და მარტო მიმდინარე წლის განვლილ რვა თვეში 10 ათასი მანეთის შეკვეთმითი ნაწარმი გამოუშვა.

ბროლის საამქროში მისი დაბადების დღიდანვე მუშაობენ გამოცდილი ოსტატები: მსატვარ-გრავიორები ძმები ავთანდილ და უჩა ლოლაძეები, ძმები გიორგი და სერგო ჯოჯუები, მინის მბერავები ილია ზანთარია და რომეინ სოფრომაძე, მინის მხარშავი შაქრო დანგაძე და სხვები.

თვალს ახარებს ქართული ბროლი, რომლის ოსტატები საიუბილეო შრომათს ვასტრეს დიანან და კიდევ უფრო ამრავლებენ თავიანთ წარმატებებს.

სოკო—ტყის საჩუქარი

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ირგვლივ საუკუნოვან ტყეში ბევრი სოკოთანი ადგილია. დასვენების დღეებში ხალხითა და ავტომანქანები დატვირთული ავტომანქანები გზს ხაჭირალის ქიდისაკენ იღებენ. შაორის უდაბურ ტყეში სოკოს მოყვარულები ეამრავ მანჭკვალას, მელისყორას, ჭიჭიტას, ქამას, ნიყვს, ღვინუას და სხვა სოკოს აროვებენ.

სოკოს ასეთი უხვი მოსავალი აქ არავის ახსოვს.

ХИЛДО ТУРИСТУЛ КЛУБЗ

ТЕРЖОЛА. (საკ. კორ.). აქ საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობს ტურისტული კლუბი, რომელსაც ამ საქმის მოყვარული, ჩხარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ლ. ბოკუჩავა უძღვება.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და სკოლებში შექმნილია 38 სექცია, სადაც 4.500-ზე მეტი ტურისტია გაერთიანებული. უკანასკნელ ერთ წელიწადში კლუბმა კომკავშირულ-ფიზკულტურული ორგანიზაციების მხარდაჭერით მოაწყო ასზე მეტი ლაშქრობა, რომლებშიც ორი ათასზე მეტი ტურისტი მონაწილეობდა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დათვალიერება-კონკურსში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის თერჯოლის ტურისტული კლუბი ტურიზმის საკავშირო საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ახლა კლუბი იმზადება საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის. ამ თარიღთან დაკავშირებით მოეწყობა ლექციების ციკლი, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, გამოჩენილ სპორტსმენებთან.

ნპირ-ნპირი

თიანეთი. (საკ. კორ.). წლითიწლობით ფართოვდება საავჭრო ქსელი იერის ხეობაში, მარტო მიმდინარე წლის შვიდ თვეში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი სასადილო-პავილიონი, მაგრანეთის სოფლის მაღაზია, დამთავრდა რაიონიგერმაღის რეკონსტრუქცია, თიანეთელმა მომხმარებლებმა მიიღეს ახალი სასურსათო მაღაზია, სოფელ ზარძიებში გაიხსნა სპეციალიზებული სასურსათო საავჭრო. წლის ბოლომდე ამენდება მაღაზიები თოლენჯსა და ჩაბანოში.

ონი. (საკ. კორ.). ჩორდმშენის სამთო საამქროს მეშამ ო. დიკიძემ ამ დღეებში შემნახველი სალაროში წარადგინა დოსაათის იტომატოლატარიის 1970 წლის პირველი გამოშვების ბილეთი, № 07, სერია 07147, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

 წულუკიძე. სოფელ ძეძილეთის მცხოვრებმა ნოდარ გიორგაძეულიძემ ნადირობისას ჩხართვი მოკლა. ფრინველი დარგოლილი აღმოჩნდა — „A — 284664 Mus. ž. nkl. Zinland“ — ეწერა ნიშაზზე, რა-მოდენა გზა გამოუვლია — ფინეთიდან ჩვენს ტყეებამდე!

(„კომ“. კორ.).

ЗЕМОТКВЕВА

დამარცხებული სტიქია

მუშვიდი და მოწმენდილი ღილა გათენდა ახალციხეში. არავის აზრად არ მოუვიდოდა, რომ ღლის მეორე ნახევარში ამინდი ისე შეიცვლებოდა, წყალი წალეკვით დაემუქრებოდა ქალაქს.

...ეა უცბად მოიღრუბლა, ჩამობნელდა, ატყდა ქარიშხალი და დაიწყო ისეთი ჯოჯოხეთური სეტყვა, რომლის მსგავსიც არ ახსოვთ ახალციხელებს. რამდენიმე წუთში სეტყვის სქელი ფენით დაიფარა სკვერები და მოედნები. ქუჩები იქცნენ მდინარეთა კალაპოტებად. ამოვიანის ქუჩაზე, იქ, სადაც ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლაა, გახკდა გადასაურული ღვარსადენი. წყალმა უზარმაზარ შადრევნად ამოხეთქა. ნიაღვრის სიმაღლემ ფანჯრებს მიაღწია. ბევრ სარდაფსა და საცხოვრებელ სახლში შეიჭრა, მაგრამ ადამიანთა მოსაზრებულმა მოქმედებამ აჯობა სტიქიას. მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

სტიქიასთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალციხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა თ. ქიმერიძემ, ოპერაციტალური საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების უფროსმა ფერმალმა მ. პიროზიანმა, ქალაქის პირველი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ი. ბერიძემ. მათ დახრჩობას გადაარჩინეს ამოვიანის ქუჩაზე მცხოვრები მიხეილ კეტოშვილის მთელი ოჯახი — დედა, ცოლი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. როცა ნიაღვარი კეტოშვილების სახლში შეეარდა, მიხეილი შინ არ იყო. უმწეო ქალებმა ბავშვების ხელში ატაცება და შეაკვლება ძლივს მოასწრეს. თვალის დახამხამებაში გაიცალა სახლი წყლით. გახასხელელი ჩაიხერგა მორეგით. წყალი სწრაფად მატულობდა. ილუპებოდნენ.

ქალებისა და ბავშვების შემზარავი ყვირილი შემოესმათ თუ არა, მეზობლები თ. ქიმერიძე, მ. პიროზიანი და ი. ბერიძე დაუყოვნებლივ გადაეშვნენ მათ დასახმარებლად. ნიაღვართან რამდენიმე წუთის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მათ კეტოშვილების ოჯახის ყველა წევრი გამოიყვანეს სამშვიდობოს...

სტიქიასთან ბრძოლის ასეთ ბევრ შემთხვევას ჰქონდა ადგილი იმ დღეს ახალციხეში და ყველგან ადამიანთა გამარჯვებით დამთავრდა.

Ш. МАИСУРАДЗЕ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საყოფაცხოვრებო თემაზე

მეტისმეტი — რეტისრეტი.
ხალხური.

ოვეზე მეტია ჩვენს ოჯახში აურზაური, ნერვიულობა დამკვიდრდა. ფარდი და მოუსვენრობა მომეძალა, მეუღლეს უძილობა აეკვიატა, თამაზი კი არც ერთს არ გვიწევს ანვარიშს — აიჩემა, მალე დამაკორწინეთო.

— ერთადერთი შვილი გყავართ, — მოიკბტუნა თავი, — არ გეცოდებით?

...„კაცმა რომ თქვას, — გავიფიქრე ჩემთვის, — რა მოხდა, შვილს ქალის შერთვა ურს“...

თამაზის განზრახვის გაგონებაზე მეუღლემ შეიცხადა, რა დროს ეს არისო, მაგრამ მე თანხმობა განვუცხადე თუ არა, იგი მამინვე შეიცვალა, შვებით ამოისუნთქა, კმაყოფილების ღიმილმა გადაკრა სახეზე, და მივხვდი, რომ დედასა და შვილს საერთო ენა კარგახანია გამოენახათ.

— რას ვიზამთ, რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, — კვერი დამიკრა ჩემმა მეუღლემ.

ოჯახური თათბირი მოვიწვიეთ, რათა შევთანხმებულიყავით ქორწილის ღღის დანიშნასა და სტუმრების შერჩევაზე.

— იასონ ჩემო, ქორწილი მომდევნო თვის ბოლო პარასკევს დავნიშნოთ — გადაწყვეტილად თქვა ელიკომ და კალენდარი გადაფურცლა. — ხედავთ, იმ დღეს ოცდაბუთი ყოფილა, ბედნიერი რიცხვი!

— შაბათი დღე აჯობებდა, — შეეკამათა ელენა.

— შაბათი და კვირა რას გვეყოფა, პარასკევიც უნდა მივაყოლოთ. სამ დღეს მაინც არ გაგრძელდეს ქორწილი?!

— რამდენი კაცი დავპატიჟოთ? — შეეკითხა ელენა.

— სამასს ორმოცდაათზე ნაკლები რაღა იქნება! — წამოიძახა თამაზმა.

— 350?!

— მამიკო, რატომ გაიკვირვე? ორასამდე ჯერ ჩემი და საკოლის ამხანაგები იქნებიან. ახლა ჩვენი მეგობრები, მეზობლები, ნათესავები?

— ჩემი იასონ, რამდენჯერმე დავიანგარიშე და დავრწმუნდი, რომ 350 კაცი ბევრი არ არის! — დინჯად დაუსახატა ოჯახი ოდამ შვილს.

— ამდენ ხალხს სად დავჯევთ?

— რესტორანში! — წყნარად და სიტყვის დამარცვლით მიპასუხა ელენემ.

— რესტორანში? — თითქოს მიბიძგესო, წამოვდექი, — რას ამბობ!

— რა მოხდა, როგორ შეიცხადე, რესტორანში ქორწილების გადახდა მოდაშია! ეჰა დაფიქრდით, სად ოჯახში ტანჯვა-წვალება, სად კიდევ ყველაფერი მზამზარეული — მოითხოვე ყველაფერი, ჭამე, სვი, დრო აატარე, აღექი, დაიხურე ქუდი და წადი.

— სამდღიანი ქორწილი და რესტორანი?

— მერე რა მოხდა, რა გაიკვირვე? თამაზის ამხანაგმა კაკო წიფელაშვილმა, ჩვენმა მეზობელმა ერასტიმ, ტრფენმა, ვარდენმა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენმა ნაცნობმა გადაიხადა რესტორანში ქორწილი და გაუთვალისწინებელი ხარჯი ამოყოფს თავს!

თამაზის დეიდა კიდევ აპირებდა შეკამათებას, რომ ელიკომ მარჯვენა ხელი ასწია, თითები გაშალა, ორივეს უკმაყოფილოდ შემოგხედა და მტკიცედ თქვა:

— ორდღიან ქორწილს რესტორანში გავმართავთ! — თითებგაშლილი მარჯვენა მაგიდაზე დაუშვა, — დიახ, მხოლოდ რესტორანში! — მართალია, ათასებს დავსარჯავთ და მაინცდამაინც ვერაფერს ვისიამოვნებთ, რაც დარჩება, ისიც დაკარგულია, მაგრამ სხვებს არ ჩამოვრჩები, მტრის ჯიბრზე მაინც რესტორანში აჯობებს. პირველ დღეს — ნეფე-დედოფლის ორას ორმოცდაათი ამხანაგმეგობარი, მახლობელ-ნათესავი გვეყოლება, მეორე დღეს — დანარჩენი — შინაურები, მეზობლები და მძახლები თავიანთი უახლოესი ნათესავებით.

მეუღლის ასეთი პასუხის შემდეგ ისევ დამრჩენოდა, რომ მეთქვა:

— ზეპირი ლაპარაკი რას გამოვადგება, ვისი მოწვევაც გინდათ, სიები შეადგინეთ!

ორ კვირაზე მეტს მოვუნდიო სიების შედგენას, დაზუსტებას, გადაჯვუფ-გადმოჯგუფებას. მიუხედავად მოამბერნეობისა, სია ოთხასორმოცდაცხრამდე ავიდა.

— ბევრია! — ხელები გავასავსავე და ვიგრძენი, რომ წნევამ უკვე ამოწია, გულმა ჩხვლეტა მიმატა.

— დამიჯერე, მამიკო, არ არის ბევრი!

— იასონ ჩემო, გგონია სიაში ვინც არის, ყველანი მოვლენ?

— რომ მოვიდნენ?

...რესტორნის დირექციას ვემუდარეთ და როგორც იყო დავითანხმეთ, რომ შეგვეტანა ღვინო, პროდუქტები და გათვალისწინებულ მთელ ხარჯებს ისე გადავიხდიდით, როგორც მათ სურდათ...

...საკონსულტაციოდ მოვიწვიეთ ორი მზარეული. დავასახელეთ და ჩამოვწერეთ საჭირო პროდუქტები. მათ შორის — შვიდასი ლიტრი ღვინო, ერთი დეკეული, რვა ბეკი, ორი ცხვარი, ათი გოჯი, ამდენივე ინდაური, ას ორმოცდათი წიწილა, ოცეიოდე შინ გაზრდილი დედალი, წითელი და შავი ხიზილალა, თევზეული, ათასი ბოთლი ბორჯომი, ლიმონათი და ა. შ.

ასეთი გრანდიოზული ქორწილის გადახდისათვის ის ფული რაც გვაქვს გადადებული, სანახევროდაც არ გვეყოფა! — ჩემთვის ჩავიდუდუნე, მაგრამ მეუღლემ ყური მოაკრა და მამინვე მომიგო:

— ჩემო იასონ, ცხოვრებაში ასეთი ბედნიერება ერთხელ ხდება. ფული რამდენიც დაგეჭირდება, ვისესხთო, ვივალოთ და თავს ნუ შეიერცხვენთ...

...ქალაქებსა და რაიონში მყოფ ნათესავებს ათი დღით ადრე გაგეგზავნეთ მოპატიჟების დასტამბული სპეციალური მოსაწვევები.

ქორწილამდე ხუთი დღე დარჩა.

გადავწყვიტეთ ქორწილის პირველ დღეს № 1 და № 2 სიის მიხედვით გათვალისწინებული სტუმრებისათვის შეტყობინება, მაგრამ სია ვეღარ ვნახეთ, დაგეკარგა... საგონებელში ჩავვარდით, როგორ აღგვედგინა სიაში ოთხასამდე სტუმარი...

ორი დღეღა დარჩა, სია მაინც ვერ ვიპოვნეთ...

მე, ელიკო და თამაზი ნერვებაშლილნი ერთმანეთს ვაბრალებდით სიის დაკარგვას, ამ დროს ტელეფონის ზარმა გაბა წკრიალი.

— გისმენთ, ლანჩხუთია? გამარჯობა, ბორის, ქორწილი გვაქვს, ქორწილი, მაშ, მოპატიჟების ბარათი ხომ მიიღე? რაო, სია? რას ამბობ, თუ ძმა ხარ, ნუ დაგაოგნებ, გადმომეცი ყველას ჯვარები და სახელები!...

ჩემს მეუღლეს თურმე მოსაწვევის ნაცვლად სია გაუგზავნია ლანჩხუთში.

...ძლიერ იწყვინეს ნეფე-დედოფლის ხელის მომკიდეებმა და მათმა გულშემატკივრებმა, რომ დაკავებული აღმოჩნდა თეორტყვენებიანი ეტლი, რომლითაც გათვალისწინებული იყო ხელის მოწერის შემდეგ თბილისის მთავარი მოედნები და ქუჩები შემოვლოთ.

როგორც იქნა, გაბედნიერების დღეც დადგა. შერჩეული მაყრიონი ჯერ დედოფალთან წავიდა, იქიდან ქორწინების სახლში და დღის ექვს საათზე ოცი „ვოლგით“, საყვირების განუწყვეტელი ხმაურით მოგვადგნენ ნეფე-დედოფალი და მათი სამოცამდე თანმხლები რესტორანში.

დაიწყო ქორწილი. ორ დღეღამეს არ დამცხრალან ჯიხვის ყანწებმომაზანეთ მოპატიჟების დასტამბული სპეციალური მოსაწვევები.

ქორწილამდე ხუთი დღე დარჩა.

გადავწყვიტეთ ქორწილის პირველ დღეს № 1 და № 2 სიის მიხედვით გათვალისწინებული სტუმრებისათვის შეტყობინება, მაგრამ სია ვეღარ ვნახეთ, დაგეკარგა... საგონებელში ჩავვარდით, როგორ აღგვედგინა სიაში ოთხასამდე სტუმარი...

ორი დღეღა დარჩა, სია მაინც ვერ ვიპოვნეთ...

მე, ელიკო და თამაზი ნერვებაშლილნი ერთმანეთს ვაბრალებდით სიის დაკარგვას, ამ დროს ტელეფონის ზარმა გაბა წკრიალი.

— გისმენთ, ლანჩხუთია? გამარჯობა, ბორის, ქორწილი გვაქვს, ქორწილი, მაშ, მოპატიჟების ბარათი ხომ მიიღე? რაო, სია? რას ამბობ, თუ ძმა ხარ, ნუ დაგაოგნებ, გადმომეცი ყველას ჯვარები და სახელები!...

ჩემს მეუღლეს თურმე მოსაწვევის ნაცვლად სია გაუგზავნია ლანჩხუთში.

...ძლიერ იწყვინეს ნეფე-დედოფლის ხელის მომკიდეებმა და მათმა გულშემატკივრებმა, რომ დაკავებული აღმოჩნდა თეორტყვენებიანი ეტლი, რომლითაც გათვალისწინებული იყო ხელის მოწერის შემდეგ თბილისის მთავარი მოედნები და ქუჩები შემოვლოთ.

როგორც იქნა, გაბედნიერების დღეც დადგა. შერჩეული მაყრიონი ჯერ დედოფალთან წავიდა, იქიდან ქორწინების სახლში და დღის ექვს საათზე ოცი „ვოლგით“, საყვირების განუწყვეტელი ხმაურით მოგვადგნენ ნეფე-დედოფალი და მათი სამოცამდე თანმხლები რესტორანში.

დაიწყო ქორწილი. ორ დღეღამეს არ დამცხრალან ჯიხვის ყანწებმომაზანეთ

...ოთხ-სამ ლიტრიანი ოთხ დღეღამე [illegible] ... ერთ-ერთ ლიდერს თოლგოვის „სპარტაკს“ მატჩი არ მოუგია. გუშინაც ვერ შეძლეს ჩემპიონებმა აუტსაიდერის — ტაშკენტის „პახტაკორის“ წინააღმდეგობის დაძლევა და ორი ქულის მოპოვება. დედაქალაქის ფეხბურთელებმა წაიყვანეს ანგარიში (56-ე წუთზე ბურთი გაიტანა აბრამოვმა), მაგრამ 73-ე წუთზე ტაშკენტელი აბდურაიმოვის უძლიერესი დარტყმის წინაშე უძლური აღმოჩნდა მეკარე კავაზაშვილი — 1:1. „პახტაკორმა“ მეტად საჭირო ქულა მოიპოვა.

სამაგიეროდ ბაკოში მეორე აუტსაიდერმა დონეცკის „შახტიორმა“ ვერ შესძლო ქულის გადარჩენა. „ნეფტჩი“ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა. გადამწყვეტი ბურთი ინულაევმა 84-ე წუთზე გაიტანა.

მეორე ჯგუფში

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა, გორის „დილამ“ და ბათუმის „დინამომ“, რომლებიც მეორე ჯგუფში (მეორე ზონა) ასპარეზობენ, მორიგი მატჩები გამართეს. გორელი ფეხბურთელები დამარცხდნენ ლიპეცკის „მეტალურგთან“ და მიიღეს „დრუჟბასთან“ შეხვედრებში ერთნაირი ანგარიშით 0:1.

ბათუმის „დინამომ“ ბელგოროდში — 0:0 დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „სალიუტთან“.

ФРЕНБУРТИ

ორიოვ გუნდი ფინალში

ბულგარეთში დამთავრდა ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები ქალთა გუნდებს შორის. ფინალის მონაწილენი გახდნენ სსრ კავშირი, უნგრეთი, ბულგარეთი, კუბა, იაპონია, ჩეხოსლოვაკია, ჩრდილოეთ კორეა, რუმინეთი. ჩვენი ნაკრები ფინალში ორი მომგებიანი ქულით გავიდა. დაამარცხა უნგრეთი 3:0.

ვაჟთა შორისაც ყველა ფინალისტი გამოვლინდა. ესენი არიან — სსრ კავშირი, გდრ, ბულგარეთი, იაპონია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბელგია და რუმინეთი. სსრ კავშირის ნაკრები ფინალში ერთი დამარცხებით შევიდა (წააგო გდრ-სთან — 1:3). დასკვნითი მატჩები დღეს დაიწყება.

ФЕХБУРТИ

მოსკოვსა და ბაკოში

უკვე რამდენიმე ტურია, რაც მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს მოსკოვის „სპარტაკს“ მატჩი არ მოუგია. გუშინაც ვერ შეძლეს ჩემპიონებმა აუტსაიდერის — ტაშკენტის „პახტაკორის“ წინააღმდეგობის დაძლევა და ორი ქულის მოპოვება. დედაქალაქის ფეხბურთელებმა წაიყვანეს ანგარიში (56-ე წუთზე ბურთი გაიტანა აბრამოვმა), მაგრამ 73-ე წუთზე ტაშკენტელი აბდურაიმოვის უძლიერესი დარტყმის წინაშე უძლური აღმოჩნდა მეკარე კავაზაშვილი — 1:1. „პახტაკორმა“ მეტად საჭირო ქულა მოიპოვა.

სამაგიეროდ ბაკოში მეორე აუტსაიდერმა დონეცკის „შახტიორმა“ ვერ შესძლო ქულის გადარჩენა. „ნეფტჩი“ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა. გადამწყვეტი ბურთი ინულაევმა 84-ე წუთზე გაიტანა.

მეორე ჯგუფში

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა, გორის „დილამ“ და ბათუმის „დინამომ“, რომლებიც მეორე ჯგუფში (მეორე ზონა) ასპარეზობენ, მორიგი მატჩები გამართეს. გორელი ფეხბურთელები დამარცხდნენ ლიპეცკის „მეტალურგთან“ და მიიღეს „დრუჟბასთან“ შეხვედრებში ერთნაირი ანგარიშით 0:1.

ბათუმის „დინამომ“ ბელგოროდში — 0:0 დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „სალიუტთან“.

ХАДРАКИ

ოლიმპიადის ფინიშთან

ათი ტურის შემდეგ 25,5 ქულით ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები. არგენტინელებთან ყაიმის შემდეგ (ლ. ჭოლუგაევსკიმ წააგო ახალგაზრდა ოსტატ ა. კვინტეტროსთან, ე. გელფანდი მოუგო ქ. რუბინეტს) საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 3,5:0,5 სძლია კანადელებს.

პრაქტიკულად პირველი ადგილის ბედი გადწყვეტილია. სამაგიეროდ ჯერ კიდევ ბუნდოვანია მეორე-მესამე ადგილების საკითხი. ახლა მეორე ადგილზე 22 ქულით იუგოსლავიელები არიან. მათ გუშინ მოუგეს რუმინეთს — 2,5:1,5. იუგოსლავიის გუნდის წევრები მტკიცედ და თანაბრად თამაშობენ. ბ. ივკოვმა გდრ-ის ნაკრების ლიდერს ვ. ულმანს პირველი მარცხი აგება. ეს წაგება რომ არა, ვ. ულმანი პირველ დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის დაწესებულ ჯილდოს შეეცილებოდა ბ. სპასკისა და რ. ფიშერს.

უნგრეთისა და აშშ-ის გუნდების შეხვედრაში ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია — 1,5:1,5. ადრე ჩეხოსლოვაკია — აშშ-ის ნაკრებებს შორის პირველ დაფაზე რ. ფიშერსა და ვ. პორტს შორის გადადებული პარტია ყაიმით დამთავრდა, მატჩი კი— 2:2. ახლა რ. ფიშერს ოლიმპიადაზე 12 ნათამაშევი პარტიიდან 9,5 ქულა აქვს.

უნგრელები 22,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით მესამე ადგილზე არიან, ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები — მეოთხეზე — 22 ქულა და 1 გადადებული პარტია.

უკანასკნელ, მეთერთმეტე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ბულგარელებს ხვდებიან. ამ გუნდში გამოდიან გროსმაისტერები მ. ბობოცოვი, მ. ტარანგოვი, ნ. პადეევსკი, საერთაშორისო ოსტატები ლ. პოპოვი, ა. კოლაროვი და ი. რადულოვი.

ფიდეს კონგრესზე

ზიბენში მუშაობა დასრულა ფიდეს კონგრესმა. იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის წინადადებით მორიგი, 1972 წლის ოლიმპიადა ქ. სკოპლეში ჩატარდება. საყურადღებოა, რომ ისტორიაში პირველად ვაჟთა და ქალთა ოლიმპიადები ერთდროულად, ერთ ქალაქში გაიმართება.

ფიდეს კონგრესმა აირჩია საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები და ეკონტროლური კომიტეტი. საბჭოთა კავშირიდან ფიდეს ვიცე-პრეზიდენტად რჩება ბ. რუდენკო. ფიდეს ყოფილი პრეზიდენტი როგორი არჩეულია საპატიო პრეზიდენტად.

კონგრესის გადწყვეტილებით ამჟერიდან ყოველწლიურად გამოქვეყნდება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა, სიები. მას საფუძვლად დაედება პროფესორ ა. ელოს (აშშ) კოეფიციენტების ცხრილი. ცხრილი ითვალისწინებს მოქმედი გროსმაისტერების ყოველ გამოსვლას. მოჭადრაკეს ქულათა ჯარეკვული რაოდენობა ეწერება. ამ ქულათა შეკრებით იქმნება უძლიერესთა სია: სწორედ ეს „ელოს სისტემა“ გაითვალისწინა მ. ეიგემ, როდესაც „დანაბრენი მსოფლიოს ნაკრები“ გამოიყვანა საბჭოთა მოჭადრაკეების წინააღმდეგ. მიმიმხილველთა აზრით, ელოს კოეფიციენტების ცხრილი ობიექტურად ასახავს ძალთა განლაგებას ჭადრაკის სამყაროში. ელოს მიერ უკანასკნელად გამოქვეყნებული მაჩვენებლებით (1969 წლის ბოლოსათვის) მსოფლიოში პირველ ადგილზე ბ. სპასკი იყო. აქამდე ელოს კოეფიციენტების ცხრილი არ იყო ფიდეს მიერ ოფიციალურად აღიარებული.

ტურნირი გულგარეთში

ბულგარეთში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა გროსმაისტერები ა. სუეტინი და ა. ზაიცევი.

საუცხოოდ ითამაშა ა. სუეტინმა, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და პირველ პრიზს დაეუფლა. ა. ზაიცევი წარუმატებლად გამოვიდა, მან მე-6-7 ადგილები გაიყო პოლონელ რ. გროლუბუეესკისთან ერთად.

კომუნისტი საქართველო

რადიო

27 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საყვირიო გამოშვება, 11.00 — „პიონერთა დაფითინი“ (მოსკოვი), 11.45 — ნ. ბუდიაშვილი. რომანსები ი. ონნერშვილის ლექსებზე, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.00 — მოსწავლეთათვის. „ქართველ დადგმა „შვილის ნაკრის ნამბობი“, 15.00 — მეგობრობის კონცერტი. ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — ციალიდან „ქართული ლიტერატურის საგანძური“ — გ. ტაბიძე, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30—ნარკვევი „მანქანათმშენებლები“, 17.45 — ე. ჯაბადარი. ქართული რაფსოდია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 20.30 — თ. დონაძეშვილი. „ალაზანზე“. რადიოდადგმა, 22.50 — მოსაღამო კონცერტი მეგობრებიდან, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

26 სექტემბერი

10.00 — თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო. ტრანსლაცია, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — კინონარკვევი, 17.30 — ადაილმა ბავშვებისათვის — „თბილისის ფერიცვალება“, 18.05—„სკკპ ცკ-ის ოვლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“. შორაქის მეფრინველეებთან, 12.20 — კინონარკვევი, 18.40 — „ჯანმრთელობა“ სატელევიზიო ჟურნალი, 19.25 — გადაცემა „ქართული კინოკომედია“, 20.05 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, 20.45 — კონცერტი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატთა მონაწილეობით, 21.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — მხატვრული ფილმი „ომი და მშვიდობა“. მეოთხე სერია (ქართული ენაზე).

27 სექტემბერი

10.30 — ბავშვებისათვის — „ხელმარჯვეთა ტურნირი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „დღეს მანქანათმშენებელთა დღეა“, 11.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „ალუსელი“ — მუსიკალური მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — საბჭოთა ავტორის ხალხთა ბალეტი. მთავარი ალტაის ავტონომიური ოლქი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ნიჭიერალური წყლები“, 14.25 — „ხელოვნების სამყაროში“ (გადმოცემა პოლონეთიდან), 14.55 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — დოკუმენტური ფილმი, 16.30 — გადაცემა მანქანათმშენებელთა ტრადიციული დღესასწაული“, 16.45 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — „ირმის ნახტომი“ — საატელევიზიო ჟურნალი, 18.25 — „კინოლექტორიუმი“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული საატელევიზიო ჟურნალი, 22.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „ციისფერ ჟარანზე“.

თეატრები

26 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ანტიგონეი; გრიბოედოვის სახელობის — მასკარადი; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სამეფო თბილისზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 99-22-92, მრეწველობის — 99-20-84, საოფლის მეურნეობის — 99-52-46, სამეცნიერო — 99-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლების და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 99-16-90, სატელეფონის — 99-60-21, უცხოეთის — 99-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 99-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფა 10574

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.